# ჯიშის აღწერილობა

## ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიში

**კულტურა:** ხორბალი

**ჯიშის ადგილობრივი სახელწოდება:** მახა

**ჯიშის და მინარევი სახეობის ადგილობრივი და ბოტანიკური სახელწოდებები:**

| ადგილობრივი სახელწოდება | ტაქსონის ბოტანიკური სახელწოდება |
|---|---|
| 1. მახა | *Triticum macha* Dek et Man. (ნათესებში ძირითადი სახეობა) |
| 2. კოლხური ასლი (სამეცნიერო წყაროების მიხედვით. ხალხური სახელწოდება არ არის ცნობილი) | *Triticum georgicum* Dekapr (მახას ნათესებში მინარევი სახეობა) |

**გავრცელების არეალი:**

**მახა - *Triticum macha* Dek et Man.**

საქართველოს ენდემური სახეობაა. ძირითადად გავრცელებული იყო რაჭა-ლეჩხუმში. უმნიშვნელო რაოდენობით ქვემო სვანეთსა, იმერეთი და სამეგრელოში.

**კოლხური ასლი - *Triticum georgicum* Dekapr.**

დასავლეთ საქართველოს (რაჭა-ლეჩხუმი) ენდემური სახეობაა. იგი მინარევად იყო მახას ნათესებში.

**გამოყენების სახე:**

ადგილობრივი მოსახლეობა მახასგან აცხობდა პურს და იყენებდა ტრადიციული კერძების მოსამზადებლად.

**არის თუ არა განსაკუთრებული პირობები ჯიშის მოსაყვანად,თუ არის მიუთითეთ რა პირობებია:** განსაკუთრებულ პირობებს მახა და კოლხური ასლი მოვლა-მოყვანისათვის არ მოითხოვს.

**მახასიათებლები ხორბლის ადგილობრივ ჯიშ მახასთვის (*Triticum macha* Dek et Man.)**

| | |
|---|---|
| **პირველი ფოთოლი** | ვიწრო, მწვანე (სურ. 1) ან იისფერი |
| **ბუჩქის ტიპი** | გართხმულია (სურ. 3) ან ნახევრად გართხმული |
| **ღერო:**<br><br>მუხლთაშორისი<br><br>მუხლები | (სურ. 5, 6, 8)<br><br>ღრუ<br><br>შებუსული ან შეუბუსავი |
| **ფოთოლი:**<br><br>ღარი<br><br>კავები<br><br>ფირფიტა | (სურ. 5, 6)<br><br>შიშველი ან შებუსული, ღრუ, დათავთავებისას ცვილისებრი ნაფიფქით<br><br>მწვანე ან იისფერი, წამწამებით ან მათ გარეშე<br><br>შიშველი ან ხავერდოვნად შებუსული, დათავთავების წინ იფარება ცვილისებრი ნაფიფქით |
| **თავთავი:**<br><br>ფორმა<br><br>სიმკვრივე = (თავთუნების რაოდენობა-1)×10/თავთავის სიგრძე)<br><br>ფხები და ფხისმაგვარი დანართები | (სურ. 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20)<br><br>თითისტარისებრი<br><br>30-52 (მკვრივი) ან 18-30 (მეჩხერი)<br><br>ფხიანი ან უფხო, თავთავზე მოკლე ფხებით (3-8სმ), ზოგჯერ დეფორმირებული ფხებით |
| **თავთუნის კილი:**<br><br>კილის ფორმა<br><br>კბილაკის ფორმა<br><br>კბილაკის სიგრძე | <br><br>ნიჩბისებრი ან ლანცეტური. (სურ.9, 20, 22)<br><br>იცვლება ბასრიდან ბლაგვისაკენ, სწორიდან მოხრილისაკენ (სურ. 21, 22)<br><br>თავთავის ქვედა ნაწილში თავთუნის კილები |

| | |
|---|---|
| | აღჭურვილია უფრო გრძელი კბილაკით, რომელიც წვერისკენ თანდათან მოკლდება (სურ. 21, 22) |
| მხრის ფორმა | სწორი ან ზოგჯერ წამოწეული (სურ. 5, 6, 21, 22) |
| მხრის სიგანე | ვიწრო ან განიერი (სურ. 5, 6, 21, 22) |
| შიდა მხარეს შებუსულობა | არ აქვს (სურ. 23) |
| | **შენიშვნა:** თავთუნის კილი უფრო მოკლეა (1,5-2მმ-ით) ყვავილის კილზე, ამის გამო ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად გამოდის წინ. ქედი კარგადაა გამოსახული და გადადის ფხისმაგვარ დანართში. ღერაკი მტვრევადი. (ნაწევრი ზედა ნაწილით რჩება მიმაგრებული თავთუნის ფუძეს). (სურ.21) |
| **მარცვალი:** | (სურ. 25) |
| ფორმა | მოგრძო, მუცლის მხარე ბრტყელი ან ჩაზნექილი |
| ფერი | წითელი |
| ღარი | ღრმა |
| **სეზონურობა** | საშემოდგომო, ნახევრადსაშემოდგომო იშვიათად საგაზაფხულო |

**მახას სახესხვაობები მათი განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით და ნათესში გავრცელების ინტენსივობა**

| მახას სახესხვაობები მათი განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით | ნათესში გავრცელების ინტენსივობა |
|---|---|
| **თავთავი შედარებით მეჩხერი** | |
| 1. თეთრი, უფხო, შეუბუსავი (სურ. 9) | იშვიათი |
| 2. თეთრი, უფხო, შებუსული (სურ. 10) | ძალიან იშვიათი |
| 3. წითელი, უფხო, შეუბუსავი (სურ. 11) | ძალიან იშვიათი |
| 4. თეთრი, გრძელი ფხებით შეუბუსავი (სურ. 12) | ძირითადი სახესხვაობა |
| 5. თეთრი, ფხიანი, შეუბუსავი (სურ. 13) | საშუალო |
| 6. წითელი, ფხიანი, შეუბუსავი (სურ. 14) | იშვიათი |
| 7. თეთრი, ფხიანი, შებუსული (სურ. 15) | იშვიათი |
| 8. წითელი, ნახევრად ფხიანი შებუსული (სურ. 16) | იშვიათი |
| 9. წითელი, ნახევრად ფხიანი, შეუბაუსავი (სურ. 17) | ძალიან იშვიათი |
| 10. თეთრი, ნახევრად ფხიანი, შებუსული (სურ. 18) | იშვიათი |
| **თავთავი მკვრივი** | |
| 1. თეთრი, მოკლეფხიანი, შეუბუსავი (სურ. 19) | ხშირი |
| 2. მოკლეფხიანი, წითელი, შებუსული | ძალიან იშვიათი |
| 3. მოკლეფხიანი, თეთრი, შებუსული (სურ. 20 | იშვიათი |
| 4. მოკლეფხიანი, წითელი, შეუბუსავი | ძალიან იშვიათი |

**მახასიათებლები ხორბლის ადგილობრივ ჯიშ კოლხური ასლისათვის (*Triticum georgicum* Dekapr.)**

| | |
|---|---|
| **პირველი ფოთოლი** | მწვანე, ხავერდოვანშებუსული. (სურ. 2) |
| **ბუჩქის ტიპი** | ნახევრადგართხმული (სურ. 4) |
| **მცენარის სიმაღლე** | მაღალი, 100-120 სმ. სიმაღლის |
| **ღერო:** | |
| მუხლთაშორისი | ღრუ, თავთავის ძირში ამა თუ იმ ფორმით ამოვსებული. |

| | |
|---|---|
| მუხლები | ხავერდოვან-შებუსული (სურ. 7) |
| **ფოთოლი:**<br><br>ღარი<br><br>კავები<br><br>ფირფიტა | <br><br>სუსტად შებუსული (სურ. 7)<br><br>ნათელი, დაფარულია მოკლე წამწამებით,<br><br>ფართე (2-3სმ), ხავერდოვან-შებუსული (სურ. 7) |
| **თავთავი**:<br><br>ფორმა<br><br>სიგრძე<br><br>სიგანე<br><br>სიმკვრივე = (თავთუნების რაოდენობა -1)×10/ თავთავის სიგრძე)<br><br>ფერი<br><br>ფხები<br><br>თავთავის ღერაკის ნაწევრი | (სურ. 24)<br><br>თითისტარისებრი, ძალიან ბრტყელი<br><br>6-8 სმ.<br><br>განიერი (ყველაზე ფართე ნაწილში 1,4 – 1,5 სმ.)<br><br>მკვრივი 40 - 55. დიდი სიმკვრივის გამო თავთავი მოხრილია<br><br>ჩალისფერი<br><br>მოკლე (4-5სმ.) სიგრძის, არ არის უხეში<br><br>შებუსული, მოკლე (1,5 - 2,0 მმ.) და ვიწრო (1,4 -1,6) |
| **თავთუნის კილი:**<br><br>კილის ფორმა<br><br>კბილაკის ფორმა<br><br>კბილაკის სიგრძე<br><br>ქედი | (სურ. 24,27)<br><br>მოგრძო<br><br>ბასრი, მიმართულია ყვავილისაკენ<br><br>მოკლე, 1-1,5 მმ. სიგრძის<br><br>კარგად განვითარებული აქვს, მიდის თავთუნის კილის ფუძემდე. |

| | |
|---|---|
| მხარი | თითქმის არა აქვს განვითარებული, ერთ-ერთი გვერდითი ძარღვი კარგადაა გამოხატული, წინ წამოწეულია და ეყრდნობა თავთუნის ქედის ფუძეს. (სურ. 26) |
| **შენიშვნა:** | თავთუნის კილი მოკლეა ყვავილის კილზე 2,2-3,5 მმ.-ით, ამიტომ ყვავილის კილი ძლიერ გამოდის წინ თავთუნის კილზე. (სურ. 26) |
| **მარცვალი:** | (სურ. 24, 27) |
| ფერი | წითელი |
| ფორმა | ოვალური |
| ღარი | ღრმა |
| **სეზონურობა** | საშემოდგომო |

სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5




სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14



სურ. 15



სურ. 16



სურ.17



სურ. 18



სურ. 19



სურ.20



სურ. 21



სურ. 22



სურ. 24



სურ. 23



სურ. 25



სურ. 26



სურ. 27



ლიტერატურა:


1. პ. ნასყიდაშვილი, მ. სიხარულიძე, ე. ჩერნიში. ხორბლის სელექცია საქართველოში. თბილისი 1983
2. ასოციაცია ელკანა. საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნების ელექტრონული კატალოგი http://catalog.elkana.org.ge/index.php
3. ნელი ბრეგაძე. საქართველო-მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა. თბილისი 2004
4. В.Л.Менабде, Пшеницы Грузии, Тбилиси, 1948.
5. В.Ф.Дорофеев, Е.Ф.Мигушова, Культурная флора СССР, Пшеница, т.1.